ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 82

15 აპრილი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დავითაშვილი, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-01200991157; #11-0120166887) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-03201011-03; #15-032010622-03)

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით შესათანხმებლად წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნილი ცვლილება, კერძოდ „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის“ პროგრამიდან 2 700 000 ლარი ნაწილდება შემდეგ პროგრამებზე: „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ – 1900 000 ლარი, ჭავავაძის გამზირის რეაბილიტაციისათვის და „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“- 800 000 ლარი, ქალაქის მასშტაბით ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოებისათვის.

კომისიის წევრების შეკითხვაზე გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ 2700 000 ლარის ეკონომია, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მინდელის სახელობის ხიდის რეაბილიტაცია დაიწყება III კვარტალში და გამომდინარე აქედან თანხების ათვისება ამ პროგრამაში სრულად ვერ მოხდება.

წარმოდგენილია ასევე კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კვარტალური ცვლილება პროგრამაში: „ხელოვნების ძეგლების და პანთეონების მოვლა-პატრონობა“. მახათაზე, ახალ პანთეონში საფლავების კეთილმოწყობის მიზნით 12500 ლარის გადმოტანა ხდება II კვარტალში.

გაიოზ თალაკვაძის თქმით შესათანხმებლად წარმოდგენილია ასევე, გლდანის რაიონის კვარტალური ცვლილება „გზების მოვლა-შეკეთებისა„ და „კეთილმოწყობითი ღონისძიებების“ პროგრამებში. მისი

განმარტებით, როგორც გამგეობა აღნიშნავს წერილობით მოთხოვნაში, აქტიურად მიმდინარეობს რაიონში არსებული ქუჩების მიმდინარე და კაპიტალური სამუშაოები, რისთვისაც მეორე კვარტალში ამატებენ 350 000 ლარს, მომდევნო კვარტლებიდან.

ოთარ გრიგოლიას შეკითხვაზე, გაიოზ თალაკვაძემ დაასახელა იმ ქუჩების ჩამონათვალი, რისთვისაც გლდანის რაიონის გამგეობას სჭირდება თანხების დამატება. გარდა ამისა მიმდინარეობს გლდანის რაიონში 7 მისამართზე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, 2 მისამართზე კანალიზაციის სისტემის მოწყობა. ასევე მიმდინარეობს გლდანის მე-7 და მე-8 მ|რ-ებს შორის სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ ლტოლვილებით დასახლებულ ტერიტორიაზე ფილებით გადახურული გზის აღდგენა-გამაგრება, ყოველივე ამის გათვალისწინებით გამგეობა „კეთილმოწყობითი ღონისძიებების“ პროგრამაში მეორე კვარტალში ამატებს 921000 ლარს.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს ასიგნებების წარმოდგენილ ცვლილებას.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილებისდანართი1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია